საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030110723539714

№ 01-15/ო **24 / იანვარი / 2014 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებებისა და ფუნქციების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში განისაზღვროს:

ა) სამინისტროს აპარატი (დეპარტამენტი) – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) შიდა აუდიტის დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

გ) მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

დ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ე) ეკონომიკური დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ვ) საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ზ) შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

თ) წარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის ცენტრი - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ი) სოციალური მომსახურების სააგენტოს – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტი, ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამების დეპარტამენტი და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტი (გარდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მონიტორინგის სამმართველოსი) - (ამავე დეპარტამენტების კურატორი, სააგენტოს შესაბამისი ხელმძღვანელი).

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის დიმიტრი მახათაძის დაქვემდებარებაში განისაზღვროს:

ა) ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

გ) სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

დ) სოციალური მომსახურების სააგენტოს – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მონიტორინგის სამმართველო;

ე) სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის დავით ლომიძის დაქვემდებარებაში განისაზღვროს:

ა) სოციალური დაცვის დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) იურიდიული დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

გ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

დ) სოციალური მომსახურების სააგენტო – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, გარდა ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ი“ და მე-2 პუნქტის „დ” ქვეპუნქტებით განსაზღვრული ქვედანაყოფებისა;

ე) ახალგორის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის მარიამ ჯაშის დაქვემდებარებაში განისაზღვროს:

ა) ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ბ) სამედიცინო მედიაციის სამსახური - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ დავით ლომიძემ უზრუნველყოს:

ა) სასამართლო ორგანოებში სამინისტროს სახელით ნებისმიერი მოქმედების განხორციელება (წარმომადგენლობა და წარმომადგენლობის უფლების მინიჭება, აგრეთვე საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სხვა ღონისძიების განხორციელება);

ბ) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების დროულად მომზადების კოორდინაცია;

გ) სამინისტროს საპარლამენტო მდივნის ფუნქციის განხორციელება.

6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ დიმიტრი მახათაძემ უზრუნველყოს სამედიცინო (მათ შორის დიპლომისშემდგომი) განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების საკითხების კოორდინაცია.

7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე;

ბ) მინისტრისა და მინისტრის პირველი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში -მინისტრის მოადგილე (დავით ლომიძე);

გ) მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მინისტრის მოადგილის (დავით ლომიძე) არყოფნის

შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (მარიამ ჯაში).

8. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას და ფუნქციებს ახორციელებს:

ა) მინისტრის მოადგილე (დავით ლომიძე);

ბ) მინისტრის პირველი მოადგილისა და მინისტრის მოადგილის (დავით ლომიძე) არყოფნის შემთხვევაში-მინისტრის მოადგილე (მარიამ ჯაში).

9. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის (დავით ლომიძე) არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას და ფუნქციებს ახორციელებს:

ა) მინისტრის მოადგილე (მარიამ ჯაში);

ბ) მინისტრის მოადგილის (დავით ლომიძე) და მინისტრის მოადგილის (მარიამ ჯაში) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის პირველი მოადგილე.

10. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის (მარიამ ჯაში) არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას და ფუნქციებს ახორციელებს:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე;

ბ) მინისტრის მოადგილის (მარიამ ჯაში) და მინისტრის პირველი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (დავით ლომიძე).

11. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ და მოადგილეებმა უზრუნველყონ მათ დაქვემდებარებაში განსაზღვრული სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი ამ ბრძანებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

12.ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებებისა და ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 26 აგვისტოს №01-168/ო ბრძანება.

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი



დავით სერგეენკო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030116838536614

№ 01-147/ო **17 / ივნისი / 2014 წ.**

,,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებებისა და ფუნქციების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 24 იანვრის N01-15/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ებ:

1. „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებებისა და ფუნქციების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 24 იანვრის N01-15/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ნარკომანიის და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის ცენტრი - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი."

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი დავით სერგეენკო